დამტკიცებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის დირექტორის 2018 წლის N41 ბრძანებით
ცვლილება განხორციელდა დირექტორის
2019 წლის 27 ნოემბრის N228 ბრძანებით
2019 წლის 17 დეკემბრის N253 ბრძანებით
2020 წლის 2 იანვრის N2 ბრძანებით
2020 წლის 13 ივლისის N596231 ბრძანებით
2020 წლის 2 ნოემბრის N1058827 ბრძანებით
2020 წლის 11 ნოემბრის N1086381 ბრძანებით
2021 წლის 17 ნოემბრის N1238987 ბრძანებით
2021 წლის 5 მარტის N201440 ბრძანებით
2021 წლის 9 დეკემბრის N1342448 ბრძანებით
2022 წლის 04 მაისის N450363 ბრძანებით
2023 წლის 24 იანვრის N71180 ბრძანებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

"ფოტოგრაფია"

საგანმანათლებლო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. თბილისი, უზნაძის 68, ტელ: 2910259; 2910260;

პროგრამის ხელმძღვანელი: აკაკი ფხაკაძე

თბილისი

2023

1. **ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:**
ფოტოგრაფია - Photography

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 02116-პ**

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -**
საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში / Secondary Vocational Qualification in Photography

სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით პროგრამის კოდია - 0211.

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - 0211 აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია /წარმოება

აღმწერი - „შეისწავლის წიგნების ან გაზეთების, რადიო ან სატელევიზიო პროდუქციის, ფილმის ან ვიდეოს, მუსიკალური ჩანაწერების შექმნა-წარმოებასა და გრაფიკულ რეპროდუქციას. ის მოიცავს პროგრამებსა და კვალიფიკაციებს ფერის რეპროდუქციის მეთოდებზე, ფოტოგრაფიასა და კომპიუტერულ გრაფიკას. აქ ასევე კლასიფიცირდება წიგნების, ჟურნალების, პოსტერებისა და რეკლამების წარმოებაში სურათების, სიტყვებისა და დეკორაციების კომბინირების შესწავლა".

4. **პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს რეალობის დოკუმენტურ ასახვას; ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი სხვადასხვა ჟანრის ფოტოების გადაღებასა და დამუშავებას. ფოტოგრაფიის ისეთ სხვადასხვა დარგებში მუშაობას, როგორიცაა: დოკუმენტური ფოტოგრაფია, პორტრეტის ფოტოგრაფია, პეიზაჟის ფოტოგრაფია, ნივთების და რეპროდუქციის ფოტოგრაფია, ღონისძიებების ფოტოგრაფია.

5. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**

ფოტოგრაფიის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფოტოგრაფად ონლაინ ან/და ბეჭდვით მედიაში, საინფორმაციო სააგენტოში, სადიზაინო სტუდიაში, გამომცემლობაში, სამოდელო და სარეკლამო სააგენტოებში, სამეცნიერო ცენტრში, თეატრსა და კინოწარმოებაში, საპორტრეტო სტუდიაში, ტელევიზიასა და სხვა მსგავსი ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 90.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3431

7. **სტრუქტურა და მოდულები**

ფოტოგრაფიის პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებსთვის უნდა დააგროვოს ჯამურად 47 კრედიტი, რომელთაგან ზოგადი სავალდებულო მოდულები 15 კრედიტი, ხოლო პროფესიული/დარგობრივი მოდულები 32 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 47 კრედიტია
პროგრამის მოცულობა არაქართველენოვანი სტუდენტებისათვის - 77 კრედიტი (ქართული ენის მოდულები იხილეთ დანართი N19 და დანართი N20 სახით).

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	უცხოური ენა	5
5.	მეწარმეობა 2	2
	ჯამი:	**15**
№	**პროფესიული მოდულები**	**კრედიტი**
1.	შესავალი პროფესიაში	1
2.	ფოტოგრაფიის ისტორიის მოკლე კურსი	1
3.	თანამედროვე ფოტოგრაფიული ტექნიკა და აქსესუარები	1
4.	ფუნდამენტური საკითხები ფოტოგრაფიაში	4
5.	პორტრეტის გადაღება	2
6.	პეიზაჟის გადაღება	2
7	დოკუმენტური ფოტოგრაფია	4
8	ღონისძიებების გადაღება	2
9	ნივთების და რეპროდუქციის გადაღება	2
10	ფოტორედაქტირება	4
11	პრაქტიკული პროექტი - ფოტოგრაფია	5
12	თვითდასაქმება (Freelancing) ფოტოგრაფიაში	4
	ჯამი:	**32**

პროგრამის სავარაუდო ხანგძლივობა :

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 41 სასწავლო კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 64 სასწავლო კვირა

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგები ფოტოგრაფიის მიმართულებით

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. გააანალიზოს გადასაღები ობიექტის თავისებურებები
2. შეარჩიოს და დააყენოს განათება
3. შეარჩიოს ფოტოკამერადა ობიექტივები
4. შეარჩიოს ფონი და აქსესუარები
5. გადაიღოს დოკუმენტური და მხატვრული ჟანრის ფოტოები
6. გააკეთოს ფოტორედაქტირება.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული პროგრამა შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მიერ ფოტოგრაფიის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა, შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;

- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

11. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

პროფესიული პროგრამის დანართები:

დანართი 1	სასწავლო გეგმა
დანართი 2	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
დანართი 3	ინტერპერსონალური კომუნიკაცია
დანართი 4	ინფორმაციული წიგნიერება 1
დანართი 5	რაოდენობრივი წიგნიერება
დანართი 6	უცხოური ენა
დანართი 7	მეწარმეობა 2
დანართი 8	შესავალი პროფესიაში
დანართი 9	ფოტოგრაფიის ისტორიის მოკლე კურსი
დანართი 10	თანამედროვე ფოტოგრაფიული ტექნიკა და აქსესუარები
დანართი 11	ფუნდამენტური საკითხები ფოტოგრაფიაში
დანართი 12	პორტრეტის გადაღება
დანართი 13	დოკუმენტური ფოტოგრაფია
დანართი 14	პეიზაჟის გადაღება

დანართი 15	ღონისძიებების გადაღება
დანართი 16	ნივთების და რეპროდუქციის გადაღება
დანართი 17	ფოტორედაქტირება
დანართი 18	პრაქტიკული პროექტი -ფოტოგრაფია
დანართი 19	ქართული ენა A2
დანართი 20	ქართული ენა B1
დანართი 21	ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ
დანართი 22	თვითდასაქმება (freelancing)-ფოტოგრაფიაში